



ԱՅՐԱՋԱԾՎԱԾ

ԿԱՀՈՎՅԱԾՎԱԾ

№ 2 პერიოდი ქურნალი. 1910 წ. 19 დეკ. № 2

၂၀၀၃ ၁၄၅ ၆၀၇၀၆ ၂၀၁၉၁၁

ყოველ კვირეულ ჟურნალზე (გამოდის 12 დეკემბრიდან).

զանութեած 5 մէն. նաեցարօ վլուտ 2 մէն. 50 ք.- Առաջի եռմյշրօ 10 ք. գյուղու Մեմուրան Մեմելոցի նախու-նախուլութ, արա նակայց առ Պայրուսա. հելայ- լուս միմօրու պայրու խարտացը միջրուցին, մյունուրու դա մեսաբար-ելուցանու տա- նա՛մումու մոլցինսատցու. — Ճանաւուցուցին և յաջու յաջու յաջու.

ପ୍ରେସଲିଙ୍ଗିସ୍ ଟାଙ୍କା ଡା. ଗୁଣ୍ଡାର୍ଥୀର୍ମ୍ଭୋଷ୍ଣୀ
ସାତ୍ର୍ୟଫା-ଫାଈମ୍ୟୁଲିକ ମିଶ୍ରନଳଦା ଡା. ଏକା-
ପ୍ରେସିପେନ୍ଟ୍ୟୁଷନ୍

ბისპორკენ.

(ବେଳାରୁଲିଶ୍ରଦ୍ଧା)

სიტყვა—წყობილი მწერლობა პ. მ—ლი.
(3 ოქტო)

(3 m 9800)

პედაგოგიკა : ლ. მდიდარი.
მხატვრობა და ქანდაკება ი. ნიკოლაძე.
ისტორია ს. გაგამაძე.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლაროვიფანიძე

პირველ ნომრიდან დაიწყება „როსტომიანისა“ (ფირდუსის შეკვეთი) და შ. დადასხის დრამის „მღვიმეში“.

Адресъ: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства, рядомъ со театромъ. Редакція
„Цховреба да Хелоснеба“ 62-го года — 10—3 б.

რედაქცია ლია — 10 — 3 ს.



შინაგანი: 1. კ. მესხი—დ. 6—**შვილი**; 2. პოეზია და ესთეტიკა—გ. 8—**ჩავალიშვილი** ნატო—3. პიზილი; 4. ძირითადი კანონი—გ. გვაჩაბა; 5. ლექსი შემოღვიში ჩავალიშვილი **შვილი**; 6. ბარელეთი—არ. ავ—0; 7. ქუთაისის დრამატიული დასი—დ. გ.; 8. სიზმარი და სინამდვილე—გ. გოგეჩა; 9. ნიღრის ძღვენი—დ. პილოსაგიძე—10. დრამა—გ. დადიანი.

შენიშვნა. ლექსი „ნისლი“ ეკუთვნის ბ-ნ ი. გრიშაშვილს, და არა ა. შან-შააშვილს.

ბ გ მ ნ ტ ლ პ

ძვირი ჯდება.

გთხოვთ ქურნალი წლიურათ ან თვიურად
გამოიწეროთ

კართული თეატრი

ტელეგრაფი № 862. წარმოდგენა № 37.

კვირას, 19 დეკემბერს, 1911 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ, წარმოდგენილ იქმნება პირვე-
ლად ახალი ორიგინალური პიესა:

მ ს ხ ვ ე რ ვ ლ ი

დრამა 3 მოქმედებად, ა. გედვენიშვილის.

მ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაციები და შეკერილია ახალი ტან-
საცმელები.

II.

ს ი რ ც ხ ვ ე რ ვ ლ ი ა ს

კოდეგილი 1 მოქმედებად, გინ-განის.


მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სალამოს 8 სათხმე.

ადმინისტ. ქართ. დრ. საზოგადოება.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.



卷之六

3. ଅ କ ଲ କ ର

8. 6 - ପ୍ରେସ୍ କ୍ଲାବ୍

გზით მავალნი გმირნი. ჩვენს მცხოვანს მსახიობებს დიდი გაჭირვება გამოუყოფა; როგორც მატერიალური, ხშირად ბევრნაირი სხვა დაბრკოლებაც შეცვერია მცხვა დურს გზაზე, მაგრამ გადალახავთ დაბრკოლება, მოუთმენიათ გაჭირვება და ბევრმა მათგანმა დღემდის მშვიდობიანად მოახწია, რომ მაღლობელმა ახალთაობამ მათი ხანგრძლივი დიდი შრომისა და ლავწლის გამო შესაფერი პატივი სცეს მათ.

ამ რჩეულ პირთ ეკუთვნის კ. მესხიც.

კ. მესხი დაიბადა 1859 წელს. ნიჭიერი ოჯახის შეილმა სცენაზე მოღვაწეობა დაიწყო 1879/80 წლის სეზონიდან. ქართულს სცენას ემსახურებოდა როგორც მსახიობი, დრამატურგი და ანტრეპრენიორი. ქართველ საზოგადოებას იგი ხშირად უნახავს მრავალს სხვა და სხვა როლებში და ღირსეულადაც დაუფასებია; თავისი დრამებით მესხმა დიდი სიკეთე უყო ჩვენს თეატრს, მეტადრე სამუდამო დასის დაარსების პირველ ხანებში; როგორც ანტრეპრენიორი იგი თუმცა თბილის-შიც იყო ვ. გუნიასთან ერთად, მაგრამ უფრო თვალსაჩინოა მისი მდღვაწეობა ქ. ქუთაისში, საღაც მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა თავის დაუღალავის შრომით მუდმივს ქუთაისის ქართულს სცენას 1888 წლიდან.

კ. მესხი, როგორც ძმა ნიჭიერ უურნალისტის სერგეი მესხისა, თვითონაც მოკლებული არ არის ამ უნარს; ხშირად იღებდა მონაწილეობას გაზეთებში, საღაც ათავსებდა უფრო იუმრისტულ წერილებს.

ამ გვარად კ. მესხმა თავისი ნიჭი და ძალა, რაც ჰერძლო შესწირა თავის სამშობლოს განათლებას და განსცემაც კეთის.

წელს შეუსრულდა მას ოც და ათი წელი, რაც იგი ემსახურება ქართველ ხალხს; ამიტომაც ქართ. დრ. საზოგადოებამ ითავა გაუმართოს კ. მესხს დღესასწაული 30 წლის მოღვაწეობისა 21 დეკემბერს სახაზინო თეატრში.

ვისურვებთ ჩვენს კოტეს დღეგრძელებას და კვლავაც შრომას ხალხის სასარგებლოდ.

პოეზიის ესთეტიკა.

მ. გ—ჩია.

„ამ უადან საქართველოში მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოძღვრებაო, — მესმოდა გზაზედ, როცა სამშობლოში ვბრუნდებოდი, — აკაის იუბილემ ნათელჲყო ჩვენის ლიტერატურის სიცოცხლის ძალა და ახალგაზდა მწერლებიც დიდს უნარს იჩენენ.“ მეც მალე გრიბოედოვის ჩაცივით „ხომალდიდან ბალში“, ე. ი. ერთს ქართულ სალიტერატურო საღამოზე მოვხდი, და გულის ფანქალით ყურს ვუგდებდი არა მარტო საღამოს მონაწილეთ, არამედ იმასაც, თუ გარშემო რა ჰედებოდა. კერავითარი ახალ მოძრაობის მსგავსი ვერ ვპოვე. იგივე გამოურკვევლობა ფორმისა და აზრისა, გამოურკვევლობა ლიტერატურულ მიმართულებათა; იგივე არევ-დარევა მწერალთა და საურთიერთო კავშირის უქონლობა, მოელს მწერლობას ერთი თვიური სალიტერატურო უურნალი არ მოეპოვება და ორიოდე კვირეულიც ძლივს სულსა ჰავავას. პოეზიას თავი შეუფარებია ყოველ-დღიურ გაზეთებში! საქართველოს დაბა-ქალაქიდ კი რუსული გაზეთები სოკოსავით გამრავლებულია. ამას დავუმატოთ კიდევ ბ-ნ ფოცხვერაშვილის კონცერტზე ნანახი ფო-

ტოგრაფიული სახე ჩვენის მომავლის იმედისა.—ვერაფერი სურათია!

მაინც გვინდა სანუგეშო რამ ვპოვოთ. დავუცადოთ, სეტყვიდან გადადგინდება ნი შთანასახნი განვითარდებიან. გვინდა სიცოკხლე, —ასეთია ადამიანის ბუნების საიდუმლო თვისება. გვინდა სიცოცხლის დამამშვენებელი ხელოვნებაც. მხოლოდ საჭიროა ახალ სწორე გზის გამოძებნა, რომ ქურუმნი და მსმენელნი არეულს მონასტერში არ ჰდალადგენენ.

ხელოვნება ერის ცხოვრების განმახლებელი და განმაფაქიზებელია. ხელოვნების გავლენა იმდენად ძლიერია, რომ მის განვითარებას მოჰყოლია ხშირად დიადი საზოგადოებრივი ზრდა-განვითარება. თვით ხელოვანნი არიან საუკეთესო წარმომადგენელნი და გამომხატველნი ერის ზნეობრივ-გონებრივი მისწრაფება—ვითარებისა და მოქმედებისა უკეთეს მომავალისათვის.

ხელოვნების არსისა და იდეალის გამორკვევა შეადგენს ესთეტიურ კრიტიკის საგანს. არის ესთეტიკა როგორც საზოგადოლ ხელოვნებისა, ისე მის კერძო დარგებისა ცალ-ცალკე, მაგალითად, მუსიკისა, მხატვრობისა და სხვ. რადგანაც ჩვენში ხელოვნების დარგებიდან მარტო პოეზიაა ჯერ-ჯერობით განვითარებული, ჩვენი მსჯელობაც შეეხება მგოლოდ პოეზიის ესთეტიკას. ჩვენ გვაქვს მხედველობაში უმთავრესად ის კრიტიკულ ფილოსოფიის ესთეტიკა, რომელიც განვითარა საფრანგეთში სახელ-განთქმულმა ფილოსოფოსმა შარლ რენუვიემ.*)

I. ვანტაზია და გოვება.

პოეზიას აქვს თავისი განსაკუთრებული საშუალება შემოქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება ხშირად გონებასა, აზროვნებასა და იდეათა შედგენის ლოგიკურს წესებს. ეს რაციონალური წესები, მიღებული ფილოსოფიისა და მეცნიერებაში, არ უდგება პოეზიას. ეს უკანასკნელი ემყარება ფანტაზიასა და გრძნობაზე იმდენად მაინც, რამდენადაც ამ ორს თვისებას განვაცალკვევებთ გონებისაგან. პოეტის სულ-ში ჩვენ ვპოულობთ სამ-გვარს ნიჭის პირველ ხარისხისას, რაიცა ავსებს მის ნაწარმოებს სიღიადითა და სიმუშენიერით. პირველს მათგანს შეიძლება უწოდოთ ნიჭი მთოლიგისა. იგი წარმოშობილია გამაპიროვნებელ ფანტაზიისაგან, საიდანაც გამომდინარეობს პოეტიური შემოქმედება. მეორე მაღლის შეადგენს ზენაესობა sublimie იგი მდგომარეობს გრძნობათა ძალასა და სიმაღლეში, ემოციათა სიღრმესა და ბუნების სანახაობათა გასაოცარს მიბაძეაში. სიტყვა „მიბაძე“ უნდა გვესმოდეს არის ტოტელის აზრით; იგი მართლდება ესთეტიკაში ესრედ-წოდებულ „თამაშის თეორიით“, რომელზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი. მესამე არის ნიჭი ფორმისა ანუ სტილისა. ეგეც ისევე აუცილებელია, როგორც ორი პირველი, და ნამდვილი დამახასიათებელია პოეტისა.

ფანტაზია პოეზიაში შეადგენს მითოლოგიურს ნიჭს, ვინაიდან მითოლოგია არის პირველ-ყოფილ ენის კონსტრუქციის ფორმა. ეს ნიჭი აპიროვნებს აზროვნების საგნებას და აკუთვნებს მათ მოქმედებასა და ვნებას, რაიცა აღინიშვნება სიტყვით. პოეტური ფანტაზია პოეტიური შეტაშორთობითა და გაპიროვნებით

*) ახ. შ. რენუვიეს შურნალი Critique philosophique და მისი წიგნი Victor Hugo le poète. გვექნება როგორც უცხოელთა, ისე ქართველ პოეტთა შემოქმედება

(პეტრონიუსიკაციით), რომელიც არსია მითოლოგიურ საშუალებისა. ასეთი შეგაობა-
თები „ვეფხვის-ტყაოსნიდან“:

მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩვენთვის ბნებიან...

შესვე ხმისა სიტქბოსაგან წელით ქვანიცა გამოსტდიან. —

იმავე მეტაფორების გვარისა, რომელიც არისტოტელმა შეაქმა ჰომეროსის
პოეზიაში. ამ მეტაფორების წყალობით ჰომეროსი „უსულოს ასულიერებდა“ იმ
მიზნით, რომ მოქმედება ენერგიულად გადმოეცა. არისტოტელს მოქავს მაგალი-
თად ქვა, რომელიც ბრუნავს ურცხვად; ისარი, რომელიც ფრინავს და ლამობს
ნიშანს მოხვდეს; გაშმაგებული ჯირითი, ან შები, რომელიც მოწადინებულია
სხეულის განგმირვას. მოკლედ ფანტაზიის მეთოდი ასე განიმარტება: „უმთავრეს
დღის განვითარების მსვლელობაში სხვა საჭირო იდეები არ უნდა მოვსოხოვთ
გონებას, ე. ი. იმ მსჯელობას, რომელსაც სიუჯეტი შეიცავს; ეს იდეები უნდა
მოგვცეს იმ სურათება, რომელიც წარმოუდგება აზროვნებას სიტყვათა და თვით
იდეათა ბუნებრივ კავშირის შედეგად“. პოეზია არამც თუ მისდევს ამ ირრაციო-
ნალს მეთოდს, არამც საზოგადო იდეათა კავშირს იგი უმატებს კიდევ ისეთებს,
რომელიც სრულიად კერძო და უცხოა რაციონალ ერთიანობისათვის და პირველ-
ხარისხოვანის ღირებულებისა პოეზიაში: ეგ არის ზომისა, რითმისა, ხმის ამაღლე-
ბისა, რაოდენობისა და რითმის იდეათა კავშირი.

ამ მეთოდის უფრო ნათელსაყოფლად საჭიროა შევადაროთ ფსევდო-კლასი-
კური, ან რაციონალურ პოეტები რომანტიკუსებს. რაციონალურ ლიტერატუ-
რულ სკოლაში პირველი საქმეა პროზა. რაციონალისტ პოეტი პფიქრობს პროზად;
მას აქვს თავისი თემა; იკის დაახლოებით, თუ რა იდეების დახმარებით განავი-
თაროს ეს თემა. მისი საგანია შხოლოდ გამოსთქვას ეს იდეები სიტყვების განწე-
რიგებით, რაიცა ექვემდებარება მარცვალთა რაოდენობისა და ხმის ამაღლების
განსაზღვრულ კანონებისა და რითმებისა. ფსევდო-კლასიკოსი ჯერ გონებით ად-
გენდენ თავის აზრსა და აერთიანებდნენ იდეებს ლოგიკურის წეს-რიგით, შემდეგ
ანაწილებდნენ გადაჭრილ რიცხვის ლექსებსა და რითმებში. „რითმა არის მხევალი
და უნდა გემორჩილებოდეს“, ამბობდა ბულო *Art poétique*-ში აქედან
დაიწყო ის ნაწევალები ძებნა რითმისა, რაიცა აღიარა ასეთის გულ-უბრყვილობით
„პარნასის კანონმდებელმა“. მაგრამ უნდა ვსტკვათ, მკაფიო და გადაჭრილ აზრის
რითმად გამოსახვის დროს შეუძლებელია დამახინჯებისა და პერიფრაზების თა-
ვიდან აცილება.

მერე როგორა სძლევენ ამ სიძნელეს რომანტიული პოეტები? ეს „ფანტაზიის
სკოლა“ სულ სხვანაირად იქცევა. როცა საზოგადო თემა აღებულია და მის გან-
ვითარების პირველი სიტყვები ნაპოვნია, ერთი ამ სიტყვათაგანი სდეგას თითქოს
„დარაჯად“. იგი მოთავსებულია დაწყებულს პოეტურ პერიოდში ლექსის ბოლოს.
იგი „ანკესივით“ იზიდავს მეორე სიტყვას, რომელიც უნდა გამოდეს პირველის
რითმად და კიდეც შევიდეს ლექსთ-წყობაში მთავარ იდეის გამოსათქმელად. განა
ეს პირველი სიტყვა შეუფარდდება თუ არა სასურველს იდეასა, ან სურათს? რა-
ღაც წინასწარ-გრძნობა, ჩვეულებად გადაჭცეული, პოეტს აფიქრებინებს, რომ
სწორედ ეს პირველი სიტყვაა მისთვის ამ აღილას საჭირო და სასურველია აზრის
განსაგრძობად; დანარჩენში მისი ლექსი შეუჩერებლივ მისჩეხებულებს. წარმოვიდგი-
ნოთ მართლა ასე დადგენილი რითმა. პოეტის შემოქმედებითი ფანტაზია რითმის

მომცუმ სიტყვათა მეხსიერებისა და ამ სიტყვათა გამომწვევ იდეათა კავშირის წყაროზე აღმოჩენილობით იპყრობს ჩავლნებულ სურათებს, რომელთა შორის იგი არჩევს უფრთხო საფერისა თვის აზრის დასამთავრებლად, გინდა მის განსაგრძობად, ახალის სურათებით, ან ახალის იდეებით. ეგ არ არის გარითმულ სიტყვათა თამაში, როგორც უსაყვედურებენ ხშირად კრიტიკოსები. პოეტის თვისუფალს განკარგულებაშია როგორც მოცემული რითმა, ისე ნაძებნი რითმა, რომელთაც იგი უკავშირებს თავის აზრის მიმდინარეობას ბუნებრივ იდეათა ასოციაციით.

ამ მეთოდის თანახმად „იმპროვიზატორი“, როგორც შეიძლება ვუწოდოთ მეტის ზეშთაგონებისა და ნაკლებ მოსაზრების მატარებელს, გადადის რითმით სურათიდან სურათამდე, იდეიდან იდეამდე და გონების კონტროლს ოდნავ ემორჩილება. ეგ არის უფრო პოეტიური საშუალება, ვიდრე წინდაწინვე პროზად შედგენილ იდეის გამოსახვა ზომითა და რითმით.

შეგვეძლო მოგვეყვანა მრავალი ადგილი ჩვენის პოეტების ნაწარმოებთაგან, სადაც რითმების წყალობით დახატულია მშვენიერი სურათები. ავილოთ მაგალითად აკაკის „სულიკოდან“ ერთი ტაბი, სადაც ფანტაზიის კალმის მოსმა მართლაც წარმტაცია იმიტომ, რომ სიტყვამ, „დაჰყარა“, რომელიც მოსდევს რითმად სიტყვას „დაჰხარა“, გამოიწვია ასეთი საუცხოვო სურათი:

„ნიშან თანხმობის კუთხი
შეირჩა... თავი ხაჭაპრა,
ცვარ-შარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებად დაჭურა“.

მომხიბლავ სურათის გარდა თვით ასეთი ჰარმონიული რითმებიც ისე ეხმატები სმენას, ვით მუსიკის მწყობრი კადენცია. რითმის ხმარებას პოეზიაში თავისი ფსიხოლოგიური საფუძველი აქვს. ამის გამო მოვიყვან ცნობილ ფსიხო-ფიზიოლოგოსის შარლ რიშეს თხზულებიდან შემდეგს მეტად საყურადღეო აღვილს:

„იდეათა უმრავლესობა ჩვენ წარმოგვიდება სიტყვიერ სურათების ფორმით, ე. ი. სიტყვით. ასე, მაგალითად, იდეები: ალჟირი, ნიშადური, ბეტჰოვენი, ასტრონომია, წარმოგვიდება თვით ამ სიტყვების ფორმით და არა როგორც საგანგებო ფიგურები. სწორედ ეს სიტყვები, ალჟირი, ნიშადური, გაისმის ჩუმად მეხსიერებაში და მაშინ იდეათა კავშირი, ანუ იდეათა გამოწვევა, რაიცა ერთი და იგივე, სიტყვიერის მსგავსებით უფრო ხდება, ვიდრე რაციონალ ლოგიკურის ჯაჭვით. Algérie იწვევს იდეას Egérie. Ammoniaque-ს მოჰყვება იდეა maniaque... *) შეშლილებსა, სომნამბულებსა და სხვა განსაკუთრებულს მდგომარეობაში, სადაც ადგილი აქვს ერთსა და იმავე დროს გონებასა და შეუგნებლობასაც, მე და ალბათ სსვებსაც ბევრჯელ შევვიმჩნევია ეს უპირატესი გავლენა სიტყვებისა იდეათა მსვლელობაზე. იმის თქმის ნაცვლად, რომ იდეა იწვევს იდეასო, მე ვიტყოდი, — სიტყვა იწვევს სიტყვას. პოეტი რომ გულ-წრფელნი იყვნენ, აღიარებდნენ, რითმა არამათუ არ ავიწროებს მათ აზრთა მიმდინარეობას, პირიქით წარმოშობს მათს პოეზიას, პულების მათ და არ-კი აბრკოლებს. მე რომ ნება მქონდეს ასე გამომეოქვა,

*) ეს ფრანგული სიტყვები ერთი მეორის ათმშება, რაცა ქართულად არ გამოვიდოდა. ბან რიშეს თეორიის თანხმად ჩვენ შეგვიძლიან გსთქვათ ქართულად: იდეა „სულა“ იწვევს „გული“, იდეა „ელია“ იწვევს „დელია“ და სხვ.

ვიტყოდი, — გონება ხმარობს ზექს (კალაშნიკოვებს), ხოლო მექსიერება არცენ-ხელოვნება ზექსის შედგენისა, რაიცა აღწევს სასურველს საბოლოო იდეალს. მაგრამ ადვილია ავილოთ ამ საუკუნის უდიდებულეს პოეტის ვიქტორ ჭიათუაშვილის ლექსი და ვაჩვენოთ, თუ რამდენად მისი იდეები გამოწვეულია რითმებით. მეორე სტრიქონში ჩასკვნილი მეტად წარმტაცი და სწორე სურათი გამოწვეულია რითმის მიზეზით და სწორედ ამ სტრიქონის საბოლოო სიტყვამ წარმოშობა მთელი ლექსიც. რითმა იწვევს იდეას და მშვენიერიც სწორედ ამ სახით წარმოშობილი ლექსიებია“.*)

ମାର୍ଗଲାଙ୍ଘ ତଥା ହାତୁକୁପିଠାର୍ଦ୍ଜେବିତ ରୀତମିଳିଲେ ଶେମଲ୍ଲେବାସ ଏବାଳୁ ତାଙ୍କେହିବାଟି, ଅଫ୍ରିଲାଙ୍ଘ ମିହ୍ନେବିଦ୍ଧିବିତ ମିଳିଲେ ସାର୍ଗେବଲ୍ଲୋବାସ ଓ ଆୟପିଲ୍ଲେବଲ୍ଲୋବାସ. ଉଚ୍ଚିନ୍ଦାର୍ଗେ ଯୁଗଲିଲେ ଯୁଗରୀ ଝରିଦିନବିନ୍ଦାର୍ବା ରାତ୍ରାଙ୍ଘ ସିମନ୍ଦିନ୍ଦନ୍ଦବାସ ଦ୍ୱାରାରାତା ଗାନ୍ଧିମେରାର୍ଗେବାଟି ଓ ଏହି ଗାନ୍ଧିମେରାର୍ଗେବୁଲ ଦ୍ୱାରାରାତା ଲେବା ଓ ଲେବା ମନ୍ତ୍ରେଖ୍ରେବୁଲ କ୍ରମିନିବାପ୍ରାବିଶି. ଶେମଦ୍ଦେଶ, ତଥା ହାତୁକୁପିଠାର୍ଦ୍ଜେବିତ କୌମିଲେ ଏଣ୍ଟନିଶ୍ଵରିନିଲେ ସାଫିରାର୍ଗେବାସ ଏହି ଏନ୍ଦ୍ରେବିଲେ ତାଙ୍କେହିବାଟି, ରାମଦ୍ଵାରାର୍ଗେବାସ ଏହି କ୍ଷେତ୍ରରେ ଲେବିଲେ କୌମିଲେବା,—ଦ୍ୱାର୍କର୍ତ୍ତମ୍ଭୁନ୍ଦେବିତ, ଏହି ରୀତମା ଉପ୍ରେସ୍‌ର୍ବ ମନ୍ତ୍ରେଖ୍ରେବାସ ଶେଦଗଭିତ୍ତି, ବିନାରାଦାନ ଏହି ଏକିଲେ ଗ୍ରାମତାଦ-ଗ୍ରାମତି ସାମ୍ବୁଲ୍ଲେବା, ରାତ୍ରିକାର୍ବ କ୍ଷେତ୍ରିଲେ ଓ ଏଲ୍ଡେପ୍ରିଲାଙ୍ଘେ ଲେବିଲେ ତ୍ରୀଜ୍‌ବେବା ଲେବା ଓ ଲେବା ରାତ୍ରିକ୍ଷେତ୍ରିଲେ ସିଲ୍ଲାବିନ୍ଦୁର ଖଗୁଫତା ମେଲ୍ଲେବାର୍ଗେବାଟି. ଏହି ଆୟପିଲ୍ଲେବଲ୍ଲୋବାସ ଶେଗନ୍ଦବା ଏକିଲେ ନାମଦ୍ଵୀପିଲ୍ଲେ ମିଥ୍ଯେବିତ, ଏହି ରୀତମାନତ୍ରିକ୍ଷେତ୍ରିଲେ ଓ ମାତ ଶେମଦ୍ଦେଶ ତାଙ୍କେହିବାଟି ଯୁଗେଲା ତାନାମେଦରାଵେ ତାଙ୍କେତ୍ରିନୀ ଏକ୍ବେବନ ଓ ବ୍ୟାକାରିବେବନ ରାତ୍ରି ଶେଇଲ୍ଲେବା ମଦାଦାର୍କ ରୀତମାବ. ରାତ୍ରି ଶେଇବେବା ତୈରି ଲେବେବା, ରାମମାନିତାର୍ବ ନେହା ପ୍ରକାରିବାଦ ଅଭିନ୍ନିବା, ମାତ ଲେବିଦି ନାକୁଲ୍ଲେବାନ୍ଦବା ଏକ୍ବେବନ, —ମ୍ରି-ସିକ୍ଷା ଓ ତାମନିବା ଏକାର୍ଗେବାତ. ମାର୍ଗତାଲାବା, ମଦିରାଦାର୍କ ରୀତମେବାଟି ହାମିଲ୍ଲେବା ମଦିରାରୀ-ସାଵେ ଏକା-ସୁରାତେବିଲେ ମନ୍ଦେଲୀବା, ମାଗରାମ „ସିନ୍ଦନ୍ଦେଶିତା ଫାଉମ୍ଲେବାବାଦ ବ୍ୟେଲ୍ଲେବାନ୍ଦବାଟି ଏକାଫ୍ରେର୍ବ ମିତ୍ରାଲ୍ଲେବାତ“.

ამ გვარად ახალ პოეზის დამახასიათებელი თვისებაა მღიღარი რითმა. ეს საფუძველი რითმის ზრდისა და მნიშვნელობისა ფრიად საზოგადო და გადამწყვეტია ლექსთა წყობის სისტემაში. მის გამო რიტმიც გამრავალფეროვანდა და პოეზიაში-ც ისეთი ადგილი დაიჭირა, როგორიც მუსიკაში აქვს. რიტმი, რომელიც დამოკიდებულია, რითმის გარდა, აგრეთვე ცენტრისა და კეთილ ხმოვან სიტყვებისაგან, მეტად მიმზიდველი და დამამწვენებელია პოეტიურის სტილისა. რიტმი ჰქდის პოეზიას იმ ჯადო-ქარად, რომელიც იპყრობს მთლიად ადამიანის ბუნებასა და სანეტა-როდ ამოძრავებს მისის გულის ულრმეს კუნჭულებს.


ახალგაზღა პოეტები აულებენ თუ არა ალლოს რომანტიკოსთა მიერ ნაანდერძევ განძს,—შესძლებენ თუ არა ლექსო-წყობის უფრო წინ-წაწევასა და სრულ-ქმნას? ეგ დამოკიდებულია როგორც შემომქმედ ფანტზიისა, ისე ფორმათა შემუშავებულ გონებისაგან. თეორიები ხელოვანთათვის ძალიან სუსტი დამხმარეა, მაგრამ ესთეტიურად განვითარებულ წრის გავლენა მათზე მეტად დიდია. ლექსის ვნებით გატაცებულმა ახალგაზღებმა არ უნდა წარმოიდგინონ, რომ წესთა დრო წავიდა, რომ საკუთარი ნიჭი ერთის მხრივ, საზოგადოების გემოვნება და ფანტაზია მეორის მხრივ,—საკმარისია ყველასათვის. საჭიროა სწორე ალლო და დიდი მომზადება, რომ ერთის განვითარებულ ენისა და პოეზიის საუნჯე ხელ-უხლებლად დაიცვან და ახალიც შექმნან.

^{*)} Ch. Richet. Origine et la modalité de la mémoire. Revue philosophique, fin 1886, p. 585.

პ ა ტ რ ლ ნ ა ტ ი

(დასასრული)

3. კიზირიშვილის მუზეუმი



პირველი საზოგადოება „პატრონატისა“ დაარსდა 1776 წ. ჩრდილოეთ-ამერიკაში, —ქ. ფილიადელფიაში, —ადგილობრივ მდიდარ მოქალაქის უისტერის მეოსტებით და ცნობილ ფრანკულინის დახმარებით. ამ ქალაქს მიჰმაძეს სხვა ქალაქებმა და შტატებმა; შემდეგში ამერიკის მაგალითმა გაიტაცა ევროპაც, რომელიც დღეს მოფენილია ამგვარ საზოგადო დაწესებულებით. საფრანგეთში, მაგალითად, ისეთ სოფელს ვერ შეხვდებით, სადაც საზოგადოება „პატრონატის“ არ იყოს დაწესებული. თვით პარიზში, მხოლოდ ერთი საპურობილისათვის (St.-Larale) პატრონატის 10 საზოგადოება არსებობს. იაპონიაში პატრონატის საქმე მხოლოდ 1880 წ. დაიწყო და დღეს იქ 40-ზე მეტი პატრონატის საზოგადოება არის დაარსებული.

რუსეთში პირველი საზოგადოება პატრონატისა დაარსდა პეტერბურგში 1878 წ. სტატის-სეკრეტარ გროტის და ქ-ნ ვოგანოვის თაოსნობით. მაგრამ შემდეგში, როდესაც ყოველ გვარი საზოგადო მოღვაწეობა საეჭვოდ იქნა გამოცხადებული, პატრონატის გავრცელება შეფერხდა რუსეთში და ამ მხრითაც ეს სახელმწიფო იაპონიასაც კი ძალიან ჩამორჩა. პეტერბურგის პროფესორს ბ-ნ გოგელის გამოანგარიშებით, მთელს რუსეთში, სადაც 800-ზე მეტი საპურობილება გამართული, 1901 წელს არსებობდა მხოლოდ 6 საზოგადოება პატრონატისა!

ეხლი კი, როდესაც ჩვენი მთავრობაც დარწმუნდა, რომ დამნაშავეთა რიცხვს მარტო რეპრესია ვერ შეამცირებს და პატრონატი უნდა ჩაითვალოს ერთად ერთ საუკეთესო საშუალებად ავკაციობის წინააღმდეგ ბრძოლაში, თვითონ მთავრობა ცდილობს მოაწყოს ამ გვარი ბრძოლა დამნაშავეთა წინააღმდეგ. იუსტიციის მინისტრის ერთ შარშანდელ ცირკულიარში (8 მაისის № 22) სხვათა შორის ნათქვამია, რომ სანამ მთელ რუსეთში არ გავრცელდება საზოგადო ინიციატივა პატრონატის მოწყობისა, მანამდის ჩვენი საპურობილები ნაყოფს ვერ მოიტანენ დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

პატრონატს რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ავკაციობის წინააღმდეგ ბრძოლაში ამას ჩვენ გვიმტკიცებს როგორც ისტორია ამ დაწესებულების დაარსებისა და მისი აღორძინება ყველა კულტურულ სასელმწიფოებში, ისევე „პატრონატების“ ანგარიშები. დანიის ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ იმ ნატუსაღართა რიცხვში, რომელიც ყოფილან პატრონატის მფარველობის ქვეშ, $74^{\circ}/_{\text{o}}$ -ს ასცდენია ხელმეორედ დანაშაულების ჩადენა!

„პატრონატის“ ან, უკეთ კსოვეათ, „ნატუსაღართა პატრონობის“ უტყუარი სარგებლობა აღნიშნეს ეგრეთვე გასულ თვეში პეტერბურგის ნაფიცმა მსაჯულებმა, რომელთაც 16 ოქტომბერს ოლქის სასამართლოს თვემჯდომარეს შემდეგი განცხადება მისცეს: „ჩვენ, პეტერბურგის ოლქის სასამართლოს 1 განკოფილების ნაფიცნი მსაჯულნი, ვასრულებთ რა ჩვენს სასამართლოდა საზოგადო მოვალეობას, როდესაც ჩვენ თვალ წინ გაიარა ურიცხვმა დანაშაულობამ, უმეტესად ქურდობამ, იძულებულნი ვართ გამოგიცხადოთ შემდეგი: 1) არავითარ შებრალებას, ერთის მხრით, და არავითარ რეპრესიას, მეორის მხრით, არ შეუძლიან შეამციროს, ჩვენის ღრმა რწმენით და გამოცდილებით, რიცხვი ქურდობისა და ძარცვისა პეტერ-

ბურგში მანამდის, სანამ პეტერბურგის საზოგადო მმართველობა არ მოაწყობს ქალაქში „შრომის სახლს“, როგორიც არის მოწყობილი მოსკოვში ისტიტუტების უფრ-შეცართათვის, რომელიც, როგორც გვიჩვენა გავლილ სესიის საჭმებმა, დამნა-შავეთა მთავარ ჯგუფს შეადგენენ. მოწყობა დახმარებისა სამუშაოს მოსაპოებლად შესამჩნევად შეამცირებს რეციდივისტების რიცხვსაც—ქურდ-ბაცაცები, რომელიც თავს ზარს სცემენ ჩვენს დედა ქალაქს, წარმოსდგებიან იმ ახალგაზდათაგან, რომელიც ქალაქის ქუჩებში უმუშაოდ რჩებიან“...

ჩვენი დედა ქალაქიც ტფილისი არ არის მოკლებული ამ გვარ ქურდ-ბაცაცებს, რომელნიც უსაქმობის გამის იძულებულნი არიან ჩაიდინონ ავკაცობა. დაპყოფენ რა გადაწყვეტილ დროს სატუსალში, რომელიც, პროფესორ დერილის სიტყვით, „დამნაშავეთა აკადემიას“ წარმოადგენს, ისინი უბრუნდებიან საზოგადოებას უფრო დახელოვნებულნი ცუდ-კაცობაში ან უფრო მოკლებულნი ცხოვრების სახსარს, და ამის გამო საზოგადოებისთვის მართლა საშიშარ ელემენტს წარმოადგენენ.

საზოგადოდ „ნატურალართა პატრონობის“ საქმეში ფული და სხვა ნივთიერი დახმარება იმდენად არ საჭიროებს, რამდენადც საჭიროა ზნეობრივი და პირადი დახმარება, ე. ი. გულწრფელი ამხანაგური რჩევა და აღვილის ან საქმის მოპოვება. ამისთვის საჭირონი არიან მხლობოდ ადამიანები, რომელნიც არ დაიშურებენ ამ-გვარ დახმარებას, საჭიროა საზოგადო ორგანიზაცია, რომლის წევრები აღვილად შეასრულებენ ამ წმინდა მოვალეობას.

ტფილისში „ნატუსაღართა პატრონობის“ დაარსებაში იმხურვალე მონაწილეობას იღებდენ ზემოხსენებულ იურიდიულ საზოგადოების წევრები და რამდენიმე კერძო პირიც, განურჩევლად ეროვნებისა,—ქალი და ქაცი.

სასურველია, რომ ქართველები არ ჩამორჩნენ სხვებს ამ საქმეში და მიღლონ მონაწილეობა ტფილისის „ნატუსალართა დახმარების“ საზოგადოებაში, რადგან ამ გვარი დახმარება მოვალეობაა ყველასათვის განურჩევლად ეროვნებისა და, გარდა ამისა, ტფილისის საპყრობილებიდან ყოველ დღე გამოდიან ჩვენი თანამემამულენიც.

ძირითადი კანონი.

გიორგი გვაზაგა შიგლიორიშვილი

(დასასრული)

გადავიდეთ საქართველოზე.

რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონებში მოყვანილია აღწერა საქართველოს ღერბისა, რომელიც გამოჭრილია სახელმწიფოს ბეჭედზე. ის იქ რას ვკითხულობთ: „ღერბი საქართველოს სამეფოისა: მცირე ღერბი საქართველოსი... ღერბი ივერიისა... ქართლისა... ყაბარდისა... სომხეთისა... და ჩერქეზთა თავადებისა“... რას პნიშნავს ეს ჩამოთვლა სხვა და სხვა ქვეყნებისა? შემთხვევითია იგი, თუ მასში არის რაიმე იურიდიული აზრი? ეს კითხვა მეტია. ყოველ კანონში და მით უფრო ძირითად კანონებში ყოველი სიტყვა და ტერმინი აწონილ-დაწონილია, ასჯერ გაზომილი, განსაზღვრული და გადაწყვეტილი. კაცის გონიერის ბრძოლასა და წარმოებაში არაფერია ისე ძნელი, არაფერი არ ითხოვს იმდენს დაკავირვებასა და შრომას, რამდენსაც უფლებრივი გამოხატვა, უფლებრივი განსაზღვრა. მხოლოდ მიუჩვეველ და იურიდიულ განვითარებას მოკლებულ გონიერის მოეჩვენება უბრალო და გაუგებარ სიტყვების რახარუხად ზემომოყვანილი შინაარსი იმ ღერბისა, რომელიც ეკუთვნის საქართველოს სამეფოს. ისტორიულად ადვილი დასამტკიცებელია, რომ საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა არაც თუ მარტო ისეთი ადგილები, რომლებიც ახლაც ქართველებით არის დასახლებული, არამედ ისეთი მხარეები, სადაც უცხო თემობა სცხოვრებდა. ასეთი იყო, მაგალითად, ზოგიერთი ადგილები ყაბარდისა, სომხეთისა, ჩერქეზთა თავადებისა. ეს იმას პნიშნავს, რომ რუსეთთან შეერთების დროს საქართველოს, სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით, ეკუთვნოდა მასთან ახლო მდებარე ქვეყნებიც. სამხრეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მისი საზღვარი უფრო გაწეული იყო და კარგ მანძილზედაც გადამცდარი ეთნოგრაფიულ მის ხაზს. ეს იყო (ტერიტორიალურად) სახელმწიფოებრივი უფლება საქართველოს სამეფოსი.

აქ იბადება ერთი კითხვა: თუ სამეფო თვით იშლება, იკარგება თუ არა მისი სახელმწიფოებრივი უფლებაც? ეს კითხვა სხვა და სხვა ნაირად გადამწყდარა სხვა და სხვა ქვეყნის ისტორიაში. ხოლო რაც შეეხება საქართველოს, მისი სახელმწიფოებრივი უფლება გადავიდა რუსეთზე, მაგრამ ეს გადასვლა და თვით უფლების შინაარსი გამოხატულ იქნა მკაფიოდ და მტკაცედ მის ღერბში და შემდეგ რუსეთის ძირითად კანონებში.

ზემომოყვანილ აზრებს პრაქტიკული მნიშვნელობაცა აქვს. საქართველოს აქვს იურიდიული არსებობა ძირითად კანონებში, მაშასადამე უნდა ჰქონდეს რეალური არსებობაც. იგი განუყრელი ნაწილია რუსეთისა, მაგრამ ამავე დროს უფლება აქვს ჰქონდეს თავისი ინტერესები და დაიცვას იგინი ყოველი კანონიერი ღონისძიებით. ის უფლებები ან ეკონომიკური შედაგათი, რომელიც მიენიჭება ქართველ ერს, უნდა მიენიჭოს ყველას, განურჩევლად ჩამომავლობისა თუ რჯულისა, ვინც კი ჰცხოვრობს მის ტერიტორიაზე. ის ადამიანი, ვინც კი საქართველოს ემტერება ან ჰცდილობს ქვეყნიდან მისი სახელის ამოშლას, უსათუოდ არღვევს ძირითად კანონებს და ეწინააღმდეგება მათ. თუ საქართველო არ იქნება, აშკარაა, უნდა ამოშლოს ზოგიერთი მუხლებიც ძირითადი კანონებიდან. მაშასადამე, ყველა, ვინც

კი ეღლება საქართველოს ზრდას და წარმატებას, ჰაგრავს მის გონიერებულებას ზე-ობრივს ძალას, აოხრებს მის კულტურას, ართმევს მიწა-წყალს ან ჰიდროელექტროენერგიას მიურად, იგი თან და თან ჰმლის საქართველოს—ჰმლის მის შესახებ მუხლებს ძირითადი კანონებისას: იგი—დამნაშავეა.

მე კი დღემდე ვცდილობდი ასეთი დამნაშავე არ გავმხდარიყავი...



გეოლოგია

ი. გრიშაშვილი.

* *

შემოდგომა... ტყე გაძარცულა,
სევდით მოცულა;
ქარიშხალი სცემს
თოვლით ნაკვეთ თხემს;
ჩაყვითლებულა ოცნების ბალი...
ამაოდ დაპქრის სიო ფრთა ლალი,
მინდორ—ტყე-ველად;
ამაოდ ეძებს
ყვავილთა ფურცლებს
დასაკოცნად და შესარხეველად.

* *

...და ისევ მარტო! კვლავ მარტოდ-მარტო,
ოჂ, ზეცის ძალნო! მითხართ როდემდის?
ისევ მარტო ვარ... ისევ ცრემლი მდის...
ფიქრი გულისა ვის განუმარტო?



გარელეჭი

ალ. ქორონა

არ. ავ—ინ.

იქ, ბუნდოვან სიშორეში ორი არსება, ორი სქესი გამოჩნდა. მოღიან ამ სიშორიდგან, მათი პიროვნება თან და თან ნათლდება. აი მათ იგრძნეს... აი, მათ შეუყვარდათ... აი, პატარა არსებაცა ჰყავთ და იმას ართობენ, აკვანს გარს შემოხვეულნი... ის გაიზარდა... ათასი ზრუნვა... აი სიბერე ახლოვდება, მათმა ყვავილმა იყვავილა, უკან დარჩა ნაგრძნობი, ნაფიქრი... სხედან ჩაფიქრებულნი, საიდენტაცია წინ იცქირებიან, იქ კი შორს, უკან დარჩა ვნება, სიყვარული, სიხარული. დანაოჭებული ხელები ჩახლართულან და ამ ხლართვაშა, ღრმა მაღლობაა

ორი არსებისა, ქვეყნიური მარტოობა რომ გაიყვეს... დროა განშორებისა, იმათ/ უცდის აუცილებელი განმაშორებელი...

აი, ერთი მარტო ზის, ჩაფიქრებული, მოგონებას მისცემია... მეტად უძირდება
აღარ არის. იმან სიცოცხლის კუთხეს მოუხვია, აუცილებლობამ მოუდარაჯა, თა-
ვისი მძიმე მახვილი დაპკრა, და ის სიკვდილად წოდებულ უფსკრულში გადავარ-
და... ეს კი უკანასკნელ დღეებს და პლევს... და ყველაფერი, რაც კი უკან დარჩა
ნისლით, არ ყოფნის გაუვალი ქსოვილით მობურა... წინ კი ესევე ნისლი, და
თვალუწვდენელი, დაუბრუნებელი გზა—გზა ცხოვრებისა...

ერთობები

ქუთაისის დრკმატიული დაცი

დ. 2,

შენიშვნები

ქართული თეატრი დღეს დღეობით ერთი ტაძართაგანია ქართულ ენისა ჩვენთვის. სპოლებში გარდა რედ ქართულ გრძნებისა და თვით ქართულს თვალშია იგი განსაც-
დება. ამიტომ ქართულ თეატრში რც მივდივარ, უპარველეს უოფლისა კად ქართულის
მოსასმენათ შივდივარ. ჩვენის სასაუბრო ენისა და აიატერატურულის შერის დიდი განსხვა-
ვება არაა. თოთქმის ისე ვწერთ, როგორც ვსაუბრობთ, ვსაუბრობთ, როგორც ვწერთ, და
თუ ეს ასე არ არის—ასე უნდა იყოს, საჭიროა, ასე იყოს. სხვა და სხვა კილოგრამები—
იმერული, ქართლ-კახური, გინდა გურული ენის ძირითათ კანონის ვარც წერისა და ვერც
საუბრისა ვერ შეცვლიან, ეგ მხოლოდ პროექტიალური თავისებურობაა ენისა, ტიპიური. ამ კილოგრამზე მოსაუბრები ბერია და დაწერიც, რომელსაც უნდა ენის ეგ პროვინცია-
ლური თავისებურობა გაგვაგონის... სოლო, როცა უმშეილდება ნაწარმენებს ვისმენ სცე-
ნიდან, უნდა გვესმოდეს კად ქართული, დინჯი, მარტივი, ტკბილი ქართული ერთის სიტ-
ურით... და, ამ, სწორეთ ეგ ტკბილი ქართული არ გვესმის ჩვენი სცენიდან...

გუშიხწინ თეატრში ერთი ჩვენებული, არ ქვთაისებილი, მომესალმა და მეუბნება: კა-
ცო, როცა ასე სხვანარათ დაპარაკობს ეს ხალხი: ზოგი იმერულათ, ზოგი კინტოფურათ,
ზოგი თათქმის კათოლიკე პატრი იყოს. ეს ხომ ნათარგმნი ნიესაა, კილდებავინ აქ რა
შეუძირა და სხედა... დამიჯდა ეგ სიტუაცია და ამ ნირგელ შენიშვნას გაწვდი საგულის-
და სახელმძღვანელოთ ჩვენის დასს.

თქმა არ უნდა წელი ჩვენი დასი ბეჭითად შეჭაბას. ჩინებული სარეპერტუარო შიე-
სება, კარგი მოწეობა სცენისა და ტანსაცმელის მხრივ და კარგი თამაში. ეს დიდი საქ-
მეა, როცა დასმი მეტი წილი სულ ახალგაზდა მსახიობნი არიან. და საზოგადოებაც ხა-
ლისით ეტანება წარმოდგენის ქუთაისში ქართულის წარმოდგენებას, ნამეტნავათ ამ უკა-
ნასენელ ხალებში, სულ ახალი, უცხო ნაწილი შეიძინა მაუერებლებას. ეს გახდავთ ვაჭრო-
ბა საზოგადოთ და მათ შორის მეტ წილათ გბრალები. ძალის სასიამოვნო მოფლენია, მა-
შინ როცა მაღალ წრისახნი და დიდი ნაწილი ინტელიგენციისა თეატრის გაუბის ჩვენს
თეატრს... დასი არ იგიწევებს ხელ-ვიწრო ნაწილსაც ჩვენის ქაფაქისა და ეჭვის სახალხო

*) ვტებდავთ თუმცა ზოგიერთ ამ წერილის აზრს არ ვეთავსებით. ამ მოკლე ხანში ვე-
დებით ვრცელი წერილი მოვათავესოთ სცენის და რეჟისურას შესახებ.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა გამართა**).

რეჟისურა კარგათ არის დაექნებული. უფელ არტისტის ასე თუ ისე ზურაბ მარიამ შემცირებული მარტინ ბერძენიშვილი... მართალია ჩვენ თქარის არა ჭელია დღემ-დე და არც დღეს უავს უფლის მხრივ სრული, სელოვანი რეჟისორი; ბევრ ჩვენ მსახიობთ არ უნახავთ დიდი არტისტების დიდი თამაში, მაგრამ ბუნებით დაუღლიათ ნიჭი, ზოგს თავათ მისვედრილან, ზოგიც შატარა რეჟისორებს უთქვაშით და ხშირად დამტკიცას მათის თამაშით... მაში, ჯერ სანაც ასეთი სელოვანი რეჟისორი არა გვევას, ეს შრინციში უნდა იყოს: — რეჟისორი და მსახიობი ურთიერთ შროის აზრთა შერჩევით სელოდღენერალიდღენ. ჩვენ ვიცით, რომ ქუთაისის დასში არის ეს შრინციში. რამდენჯერშე დავსწრებივარ რეზტრიციებზე და მინახავს: — რეჟისორი ერთს იტევის, მსახიობი მეორეს, და როგორც დაუადებათ და მოეწონებათ საქმეც ისე მიერთ.

დადი ნაკლია ჩვენის თეატრის ურეცენზენტობა. რეცენზენტი კარგი ნაკლია უნდა იყოს, განვითარებული, მცოდნე სცენებისა, მხატვრულ და ლიერატურისა, ნამდგილი კულტურისანი. მაშინ დაუგდებს მას უკრ და უფელ იმის ნათქვაშის ფასს დასდებს მსახიობი. განა ეგ რა რეცენზია: — პიესა გვარისათ ჩატარებს, კარგი იყო იმედაშვილი, არაუმჯღვანი ბარეფელს, ქიქოძის ასული იმედს იძლევა, ჩერიძის ასულის აღტაცებაში მოგვიუვნა და მისთანები. ჩვენი რეცენზიები კი სულ ასე იწერება თითქმის... კარგი საბუთანი რეცენზიები კი, თუ რა დად საქმეს იზამდა და გააპეთებდა ჩვენს თეატრისათვის.

**) არ ვიცით, სიდან შეთხხა ვინმე ა. სერგომ უსახალხო გარეთში», რომ დასს ერთიც იაფ-ფასიანი წარმოდგენა არ გაუმართავსო.

სიზმარი და სინამდვილე.

(მშიერი სტუდენტის დღიურისებურილან)

I.

ლ. ქიოჩელი.

უფელდღე გათვალიერებ გაზეთების ფურცლებზე განცხადებებს. დიდის უურადღებით შემთხველი ეფექტნაირ განცხადებას. ვფიქრობ, იქმნება წავაწედე რამდეს! მაგრამ, ვიცი, ბედი არ მწერლობს, და ეჭვის თვალით ვუყურებ ჩემს მომავალს! დიდი სანა, რაც გსწავლობ, მაგრამ ჯერ ცხოვერებას ჩემთვის არ გაუღიმია! რა დაუშეს მას, არ ვიცი, ის კია, რომ სულ მაწერება, მირისხდება და საშეველს არ მაძლევს! თავი კი უდანაშაულოდ მიმაჩნია! ვის მოვსთხოვთ სამართალი?

თუ გინდა, აი, ეხლაც! ჩემი დამაკაცურებულებული არც ერთი განცხადება არ მთავრობს. ეს ხომ უსამართლობაა, რადგანაც არ შეიძლება, რისამე გაკეთება არ შემძლოს. რა მაკლია? ხელი, ფეხი, თავი, თვალი... ჭერა... მგრია, რომ ცოდნაც მაჭვს, მაგრამ მიუხედავ უფელივე ამისა, სამუშაოს ვერ ვუშველობ და უდუებელუროდ ჭარები! მართალია, ცოდნაცა და ცოდნაც, მაგრამ მაინც! თუმცა კომერსანტი-ღვდაური არა ვარ, ბუღალტერი—კორესპონდენტი არა ვარ, „კონტაქტიჩიკი“ არა ვარ, სახლის, თუ მაშელის გამზე—„უპრავლიაიუჩი“ არა ვარ, მებადე არა ვარ!! შევიცრად, მეტოვედ, თფიცრანტად

მე ვერ გამოვდები, რადგანაც ერთი ომ (საიდან არ ვიცი) ინტელიგენტის შესხვაულება მაქვს, და თანაც სათვალეს ვატარება! (ბევრანთბაც რომ მე გადამეტადა?); ესემოვანი მოკლე იყოს, მე დამჭირდება ასეთ „თანამდებობაზე“, და ამის კი... რა სათქმელია? პრეფერაცია მე არა ვარ, ფორმაციის არაფერო მესმის! ტეხნიკი, ექიმი, ვექილი!.. უკაცროდ, უკაცროდ! ნამეტანი მაღლა აწევა როდია საკადისი!! ცხადია რომ არა!! სტენოგრაფის რიც არა ვარ...

არა, სჯობს, მგლი, ისა ვსოდება, რა ვარ?.. ვისაც ეს ეგულისხმება, (გამოვტევდება — მეც მაინტერესებს ამის გაება, მაგრამ მე ხომ მე ვარ!) ერთი მიმართოს იმ გემნიზიას, სადაც რეა წელი დაგეხვი და იყითხოს, რა შემსახუავდეს!! იქნება გაიგლო ამ ფრიად საშატით დაწესებულებიდან რაიმე! ეს ამბავი დედაჩემა რომ იცდეს ისე, რეაგორც მე ვიცი, ცუდათ მომექურობადა! „რა ისწავლე, რას შეკებდე, ამა, რეა წელიწადი სასწავლებელში მეყვდი, და ისიც გემნაზიაშით!!.. გაგათავისე სწავლა, არაფერი დამიზგავს და ახლა არაფერი არა ხართ?“ ოდნობაც დედაჩემო, ოდნობაც!! ...განცხადებები ბლობათაა! ნაირ-ნაირი ჭრელ-ჭრელი!! სტენოგრაფი რომ უხვად იძლევის თავიანთ შრომას! მთდი, ძევს დონს გავისენებ, და მეც ამ გაჭირვების დღეს წამოვისტევდენტებ, თუმცა სტენოგრაფი არ ვარ, (დალახვროს ღმერთმა, ვიყავი ეს მაინც, მაგრამ... ჭრა, არ დირს იმის გასხვება, რაც იუ, და რაც ვიყავი!) მაგრამ რა უჭირს ვისარგებლო სტენოგრაფის სახელით? შეიძლო არ მაწერა: ეს კაცი სტენოგრაფი არ არის! იმას უფროთხილდით!! რაც შეეხება ცოდნის, რიგით არ უნდა ჩამოუვარდე იმათ ცოდნაში! რესულად ჩინებულად გმას-ლაათობ, ლათინურსა და ბერძნულ ენებზე ახლა არავინ ლაპარაკის! სულ სხვა ფრანგული და ბერძნული! თეორია ვიცი, და ახლა მაინც და მაინც პრაქტიკა დამჭირდება? თეორია მიხსნის!! ჭრა! ეს თეორია! იქნება ბევრმა არცენი იცის რა არის თეორია!! მაგრამ ამზე მერე ვილაპარაკებ, და ახლა კი ჩემი განცხადებით მივალ რედაქციაში, რათა ვაუწერ მსურველთ, რომ მე გამოცდილი რეპეტიტორი, სტენოგრაფი—ფალთლოგი, რამელმაც აქროს მედალით დავასრულე გიმნაზიის გურსი, მსურს ვიქნით გაგვეთილება, რომ ჩინებულად გამზადებ მოწავეთ უვალა სასწავლებლებისათვის, და აგრეთვე სამწიფის ატესტატორები!! მაქვს უმწიგვლო რეა წლის პრაქტიკა!!

II

ხეად დილით ჩემი განცხადება გამოჭიბული იქნება ერთი საუკეთესო გაზეთის ფურცელებზე. რამდენი მამა, შვილის აღზრდით გატაცებული, რამდენი ექსტენი, სწავლა-განათლების მოსურნე, წაიკითხავს ჩემს განცხადებას?

თუ ხარ სადმე, ბედო, გამოხსდი ახლა!... არა, მართვა, ხემრობის გარეშე, ძალან იმედი მაქვს! იმედი კა!... რა კარგია კარგი იმედი!! თუმცა კარგი იმედის სიგარეგეში ჰელა დარწმუნებულია, მაგრამ უნდა ვსოდე მაინც, რომ თუმცა არ მისადილნა, ჩაიც არ მიმირთმევა, თუმცა მშიან, მციავ და მწერული, თუმცა თავიც მტკია და ამაღამისთვის დამშეში ნაეთი არ მოიპოვება, მაგრამ მიუხედავად ამისა კარგს გუნებაზე ვარ და ღიღინით დასაძინებლად გემზადება!!

— მიბოძეთ, ნავთი ჩაგისხეთ დამშეში! —

გაა, სირცეხილის! როგორ გინდა ახლა! ეს მოსამსახურეს სიტემებია და, ცხადია, მე მომსართავს, მთდი, და ახლა თხით კაპ. ჩაქჩირალე იმას!!

— ჭა! პაშა, თქვენს ხართ? რა გითხრათ. პაშა, დღეს მეტად დაზღვილად ვგრძნობ თავსა, და უნდა დავისვენო ადრე! ასე რომ... ძვირფას პაშა, სინათლე არ მესაჭიროება... თავი მტკია და სინათლე კი თვალებიდან მირდაშირ ტვინში ისე მცემს, რომ...



— სინათლე ტგინში გრეშესთ?... ჩეს! ნერვებიანი უთვილესართ!

— მაშ, მაშ!

ასე! ახლა ბატქინი გარ! ბნელაში ვარ იმიტომ, რომ სინათლე ტგინში შეცემულიყო
ტეჭილს მიზვიალებს! ხომ შეიძლება ეს ასე მოხდეს და, მაშასადმე, ცედს არვინ იუიჭ-
რებს ჩემზე, და სრული თავისუფლებით შემიძლიან ბნელაში დავრჩე! რა თქმა უნდა დადს
ხანს ასე ვერ დავრჩებოდი, და პადგაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩაგდორდი ფო-
გინში!

— ჴ! ჴ! ბედო, თუ სარ სადმე, თუ სწერისარ სადმე, დილას ვნახავ შენს ბიჭუ-
ბას! ასა, დატრალდი, ღმერთო ჩემთ! კარგო ბედო ჩემთ!

მომაგონდა დედაჩემის სიტყვები: „თუ ბედოუ გიწერა, შვილო, პატარა, უმნიშვნელო
შემთხვევას შეუძლია გაგაბედნიეროს ისე, რომ არც მოელოდეთ!“

მართალი ხარ, დედაჩემი! მართალი! მაშინ იქნება არ გეთანხმებოდი, მაგრამ ახლა...
სრულიად ხელს-ვაწერ შენს ბრძოლე აზრზე!!

....დავიძინე!...

ვითომ გათებდა... მზემ მოცინარ სახით გადმომხედა და რამდენიმე პერსონა
მომიგზავნა, — ჩემს ფანჯარას სტრუქტურა, თითქო მომაძახა: „გიხართდესთ“.

წამოვარდი. ტანს ჩავიცვი. შირის დაბასა ვერ მოვისწარი, რომ დაირექა და გოგომ
დია ბარათი შემთმიტანა. „მოწევულე ხელმწიფებელ! გთხოვთ მობრძანდეთ 13 ას თევს
თახშაბათს 2—3 ს. შირად მოსალობარაგებლად გამშეთილის შესახებ. მეოთხე კლასის
მოწავება, რომელიც უნდა ამეცადინოთ რესულში და მათებატიკაში“. ადრესი ცოტა შეის
ამბობს, მარა სიშროეს რას დავსდევ! მგზი, ბრძანების ამოვევა თავი! სწრაფლად პირს
გიბან, სარკეშიდაც ვიხედება! გაუცინე ჩემს თავს... იმანაც გამიცინა!... კარგათაა საქმე! —
ჩავასველება!... ორი საგანი—ოცი მანეთი! ა? რა იცი, კაცო, იქნება მდეს შწარეს იმიტომ
ჭამდი, რომ ეს ტებილი დაგეუდღებინა ზედ!... დარებეს! ბიჭო, ბიჭო... ჩემთანა?
გოგოს მთაქეს ბარათი დავხედე — გადე მაპატიცება! ხო, ხო, ხო! წავიკითხოთ: მ. ხ.
დასამატებელი ეგზამენი დათონერში გვირაბი სამჯერ!“ და სხ. ესეც მე!... სამართლია-
ნად უნდა მოგაქცე! ჯერ პირებულ წერილზე წავალ, მერე რიგ-რიგათ! მაშ, სამართლიანია
უნდა! რომ პირებულ მეორესთან წავიდე, გაიგეს გინმე და უზრდელობაშიც ჩამომართ-
მევს! ქუდი, მაღალ და შერდელივით გამოველ ბინიდან!!... მზემ ახლა უფრო გასაგო-
ნათ მომაძახა: „გიხართდესთ!“

— ჴო, გმადლობ, გმადლობ! შენი ჭირიმე!

თუმცა უტემელი ვარ, აგრ თრი დღის, მაგრამ მაინც ისე მივდგიარ, თითქო უფეხლი
ჩემი ნაბიჯი ათას მანეთად იქს დაფისებული! მიველ დნებშეულებისმებრ!.. სახლი დიდე-
ბულია. ცხადია, ვადაც ტუზი ცხოვრობს. სწორებ კაცობა აქ უნდა, და მეც მეტი სერი-
ოზული სახით მივადექი კარგის. შვეიცარის მორიგებით დამიკრა თავი! ალბათ კარგი
შესედელება მაქვს... ხუმრიდა არ მიუვარს! უპირველესად უფლისა, თავის დაჭერა, თავის
დაგვეგძა!

დაგრებე!

— ვინ სართ? — მომესმა პასუხად ქალის ნაზი ხმა. ამას არ მოველოდი: ამ შეადგი-
სას რას კითხულობენ ამას მეოთხო...

— რეტეტოტროცი!... გაიღო კარი.

— მობრძანდით! ქალბატონი ახლავე გეახელებათ! — მითხოვა გოგომ, თითქო მომე-
ლოდა. თან იცინოდა, მიღიმდე... კარგი ნიშანია! ა?

შეგეძი დარჩაზმი. უმოწევალო მდიდრულად არის მორთული!... აქ თცი მანებელი ფულია?... სად დაჭვდე? იქნება სკამი გამომისტეს და... რა იცი, უკელიშემის მაქანიური ბერიდებიდეს!! ცოტაც რომ დავაცილო, ხომ დავიღუშები კაცი!! მეც დაჭუწე მზერა ედედზე ჩამოკედებულ სურათს.

— გამარჯვება! — მოქემა. მოვისედე — დიდებული ქალი. რა თქმა უნდა, სწრაფლ ფეხები მოვიმარჯვე, მხრივი ავწევ და საჭამი მივუცი.

— დაბრძნებით!

— მე გეხელით თქვენი წერ...

— გოცი, გოცი!.. — გამარჯვეტინა ქალის. დალა გებით მაშტცო შირობები. დაპარაკიდან შეგიტყე, რომ ქალი ჭირიანი და... ჰატიოსანი იყო.

შირობა ასეთი არის: 25 ქ. თვეში და სადილი.

— თუ მასერსებულად ცნობთ, — დაამატა ქალის, და ერთი მადლიანად შემოსწედა, შეგიძლიათ გადმოსვიდეთ აქ, ჩვენსას! თავასი ცალკე გემშებით, სადილიც, რა თქმა უნდა და 20 მან. ფულად! ეს თქვენზეა დამთვარდებული, როგორც გინდათ!

გავშემდი. რა უთხოა?

— კარგი!.. კარგი!.. ენა დამება! ეშმაკი ვერ მიხედებოდა რაზე გამბობით კარგს, იმაზე თუ საცხოველებლად გადმოგვიდოდი, თუ ვთვლიდი და 25 ს დაუკერდებოდე?

— ვინაიდან, — დავიტე ტუშილი, — ბინა უფასოთ შაქვს და ესე იგი... ჩემთვის უკრ მოხერხებულია ვიარ და... დავთანხმდე 25-მანებზე...

— კარგი და პატიოსანი! მაში ივლით, კეთილი!

— დიახ, დიახ!

— რომელ ფაქულტეტზე ბრძანდებით? — უცით მკითხა ქალის! როგორც ცხელი ტყებია ისე მეცა ეს კითხვა! სწრაფლ ფიქრი აღმერა — გა თუ ამაზე დამთვარდებული ჩემი ბედ-იდალითქო!.. ფაქულტეტი კი არა უნივერსიტეტში არა ვარ! ენამ დამასწრა და ჭუპსებე:

— ფილოლოგი გახლავარო!

— კეთილი!.. რა ერთგების ბრძანდებით?

— კართველი!

— სასიამოვნოა! მე ძალიან მომწინეს ქართველი ერი! კარგი საღნა! მართლმადიდული ბრძანდებით?

— თუ ახლა მიშველა მორთლმადიდულობაში, მაშინ არ გავამტყუნებ საქართველოს იმაში, რომ საუკუნეები იძრდება მის დასაცავად! ჩჩნს, რომ ისტორიაც ჩემკენ არის!

— დიახ!

— სარწმუნოებას ალართ მანცა და მიაწოც არ აქციებთ უურადღების? ა?

ახლა კი შეგერდი! მცდის მეთქი ვითიქე! მაგრამ ჩავიცინე და გუპასუხე:

— როგორ შეიძლება, ქალისატონ, როგორ შეიძლება!

— ეს მე მომწინეს! უოკელ შემთხვევაში, სირწმუნოება ისეთი რამა, რაც პერძეთ, საკუთრად ადამიანს, როგორც პიროვნებას, ეხება.

— გეთანხმებით! კერძო საქმეა... — განათლებული ქალი უნდა იყოს!

— თუმცა რესეთში ვერ კიდევ არ არის გამოვებული ასეთი შეწედულება, მაგრა იმედია, რომ... თქვენ ხომ არ გმეჩარებათ?

— დიახ! წავალ!.. საქმე...

— დარჩით სადილზე! ჩემი ქმარი ქ. №-ში არის წასული... და წარმოიდგინეთ,

მოწევნიდი ვარ! სადიდზე კოლაც მოვა... კოლაც თქვენს მოწავესა ქვიან!

— გმაღლობთ! მაგრამ...

— ნატაშა! — დაუძახა ქალმა მოსამსახურეს — ესა გაამზადე!

— ახლავე, ქალბატონ!

— დაას, იმას გეუბნებოდით, — ქართველი ერთ სიმპატიურია! მე ვიცნობ ასმოდენის ქართველის! მომწონს ქართველის, საზოგადოთ, პირდაპირობა...

„ნურას უკაცრავად! მაგრე არ გახდავს საჭმე,“ მინდოდა მეთქმა, მაგრამ სიჩუმე არჩიე, თანაც დღნავად შეგწითლდი ნიშნათ იმისა, რომ ეს „ერთოვნული“ თვისება მეც მიწევს...

— დაას, პირდაპირობა, — განაგრძო ქალმა, — ამასთან სილამაზე კლასიკური... ამ დროს გოგობ შემთირება ნაირ ნაირ ტებილეულობა, ესა და სუფრა ხელად გამალა. ერთი სინიდან ერთი რადაც ტებილეული პირდაპირ მე შემოშეურებდა თათქმა მიღიმდა, მიცინდა; .. დასწეველის ღმერთმა! — თვალი ავარიდე, მაგრამ ასმდენსაც არ გავიხედავდი იმისებს იმდევერ ერთს თვალს ცბიერად დახუჭვდა...

— ააა, ეპიფას... თქვენი მამის...

— ნიკოლაიჩ...

— მიირთვით, ეპიფას ნიკოლაიჩ! მოიწიეთ აქეთ!.. რა მორცხვი რამ უთვიდესართ! შეპატიურება ქალი და თანაც განაგრძობდა თავის ფარანგს,

— სილამაზე, პირში გეტევით, ერთოვნული...

შეუახლოვდი სუფრას. წაუწიე ხელი „მოცინათ-მომდიმან“ ტებილეულს, მინდოდა თას, მაგრამ ისე მინდოდა ადება, რომ არ შემეხდა გერ ავიღე უთვალოდ. გავახედე უნებლიერ!.. გარ, უბედურებავ!

ეს შაწია რადაცა გაზიდილა, უშველებელი გამხდარა! გადასულა სიის, თითქმის სუფრას ნახევრად დაუკავებდა, დაუდია ხსხა, დაუდრეჭდა გრძელ-გრძელი კბილები და იცინის! მუცელეა! ავიწიე ასადგომად!

ერთი თვალი შემოშეურებს და გულსაკლავად იცინის! მუცელი გამოება და გაუზარდა სითხითების, — უშველებელი მუცელი ენძრევა!

ჩემი მასშინძელი ქალიც იცინის ახლა, და სიცილით შემოშეურებს!

— რა თავხედობა! მე არავის მივცემ ხებას დაცინებისს!..

— თქვენი სილამაზე, პირდაპირობა!.. ხსხას!

— სისხლი! სისხლი! — ვიყვირე და მიგარდი იმ საძაგელს, რამაც აგრე მოჰიშხამა წუთი... მაგრამ ამ დროს გამოშედვიძა!

გათენებული იყო.

